



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030173455178417

№ 01-42/ო

14 / თებერვალი / 2017 წ.

„ეპილექსიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და „პირველი არაპროვოცირებული გულყრის მართვა“; „ეპილექსიის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე“; „ეპილექსიის მქონე პაციენტების ნეიროგამოსახვითი კვლევა“; „ახლადდიაგნოსტირებული ეპილექსიის მქონე ჩვილებისა და ბავშვების ნეიროგამოსახვითი კვლევა“; „ეპილექსიის ფარმაკორეზისტენტული ფორმების დიაგნოსტიკა და მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ¹“ და „კ²“ ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „ეპილექსიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - (დანართი №1);
- ბ) „პირველი არაპროვოცირებული გულყრის მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №2);
- გ) „ეპილექსიის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №3);
- დ) „ეპილექსიის მქონე პაციენტების ნეიროგამოსახვითი კვლევა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის

სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №4);


ე) „ახლადდიაგნოსტირებული ეპილექსიის მქონე ჩვილებისა და ბავშვების ნეიროგამოსახვითი კვლევა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №5);

ვ) „ეპილექსიის ფარმაკორეზისტენტული ფორმების დიაგნოსტიკა და მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №6).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეპილექსიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 21 დეკემბრის №357/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგეენკო